

შპს ქასტომერთაიშ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ქასტომერთაიშს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7-13

შპს ქასტომერთაიმს ჯორჯია

მოგება-ზარალის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2023	2022
I. შემოსავალი	10.1	3,012,893	1,577,775
გაყიდვები		3,012,893	1,577,775
პროგრამული დეველოპმენტი მოკავშირე მხარისთვის		3,012,893	625,590
პროგრამული დეველოპმენტი		0	952,185
II. ხარჯები	10.2	-2,528,862	-564,093
თვითღირებულება		-1,566,727	-238,880
ხელფასები		-1,410,214	-226,631
ზეგანაკვეთი		-46,452	-290
ბონუსები		-3,120	0
შვებულება		-57,725	0
სოციალური ხარჯი, მ.შ.:		-49,216	-11,959
დაზღვევა		-28,594	0
განთავისუფლების კომპენსაცია		-5,070	0
თანამშრომლების კვება		-238	-11,959
გადაადგილების ხარჯები		-15,313	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10.3	-962,135	-325,213
ხელფასები		-561,739	-256,442
ბონუსები		-63,122	
შვებულება		-18,971	
სოციალური ხარჯი, მ.შ.:		-13,287	-5,540
დაზღვევა		-1,048	
გადაადგილების ხარჯები		-12,239	-5,540
იჯარა		-121,151	-2,250
ქირავენობის სხვა ხარჯები		-9,365	0
კავშირგაბმულობა/ინტერნეტი		-10,887	0
ლიცენზია/გამოწერა		-2,194	0
დოკუმენტაცია		-1,141	0
გადასახადები		-7,865	-1,033
სხვა სოციალური გადასახადები		-240	0
ბანკის კომისია		-24,370	-2,769
ამორტიზაცია		-47,298	-5,031
ბუღალტრული მომსახურება		-7,984	-3,438
დასაქმების საფასური		-12,075	0
იურიდიული მომსახურება		-41,085	0
თანამშრომლების ღონისძიებები		-6,119	-43,438
თანამშრომლების ჯილდოები /საჩუქრები		-9,154	-3,938
სამოვლინებო /სადღეღამისო ხარჯები		-347	0
ადგილობრივი ტრანსპორტი		-34	0
კაფეტერიის ღირებულება		-2,163	0
მცირეფასიანი ინვენტარი		-1547	-1,334
III. არასაოპერაციო ხარჯები	10.4	-15,637	-4,294
საკურსო სხვაობა		-15,637	-4,294
კომერციული ბანკების კურსით სხვაობა		-11,253	-749
ოფიციალური კურსით სხვაობა		-4,384	-3,545

წმინდა (+) მოგება-ზარალი 468,395 1,009,388

დირექტორი
გოლოდნიმირ სიდორიძე



მთავარი ბუღალტერი
ქობულაძე დიდა

შპს ქასტომერთაიმს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		ლ 31.12.2023	ლ 31.12.2022
აქტივები		1,567,213	1,268,276
გრძელვადიანი აქტივები		78,737	49,136
ძირითადი საშუალებები	1	65,920	49,136
ძირითადი საშუალებები		118,249	54,167
დარიცხული ამორტიზაცია		-52,329	-5,031
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	12,817	
გრძელვადიანი ავანსი		12,817	
მოკლევადიანი აქტივები		1,488,476	1,219,140
ფული და ფულის ექვივალენტი		157,363	14,775
ფული ბანკებში	2	157,363	14,775
მოკლევადიანი მოთხოვნები		1,331,113	1,195,365
სავაჭრო მოთხოვნები	3	1,298,039	1,195,365
სავაჭრო მოთხოვნები		0	952,185
მოკავშირე მხარის სავაჭრო მოთხოვნები		1,298,039	243,180
მასალები	6	3,681	
სხვა აქტივები		29,394	9,000
გადახდილი ავანსები	4	0	9,000
სხვა მოთხოვნები	5	29,394	0
კაპიტალი და ვალდებულებები		1,567,213	1,268,276
კაპიტალი	10	1,477,783	1,009,388
გაუნაწილებელი მოგება		1,477,783	1,009,388
ვალდებულებები		89,430	258,889
მოკლევადიანი ვალდებულებები	8	87,478	169,889
გასაცემი ხელფასი		82,569	168,591
მომწოდებლები		4,909	1,298
გადასახდელი გადასახადები	7	1,579	88,999
სხვა მიმდინარე ვალდებულება	9	373	0

დირექტორი

ვოლოდიმირ სეფენიძე



მთავარი ბუღალტერი

ქობულაშვილი

შპს ქასტომერთაიმს ჯორჯია

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ლ სულ
ნაშთი 25.08.2022	0	0	0
2022 მოგება / ზარალი სხვა		1,009,388	1,009,388
არაკლასიფიცირებული შემოსავალი / ხარჯები			0
			0
სულ ცვლილებები:	0	1,009,388	1,009,388
ნაშთი 31.12.2022	0	1,009,388	1,009,388
2023 მოგება / ზარალი სხვა	0	468,395	468,395
არაკლასიფიცირებული შემოსავალი / ხარჯები		0	0
		468,395	468,395
სულ ცვლილებები:			
ნაშთი 31.12.2023	0	1,477,783	1,477,783

დირექტორი

[Signature]
ვლადიმერ სიდინი



მთავარი ბუღალტერი

[Signature]
ქობულაძე ლია

შპს ქასტომერთაიმს ჯორჯია

ფულადი ნაკადის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	ლ 2023	ლ 2022
I ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა მოგება	468,395	1,009,388
კორექტირება:		
საკურსო სხვაობა	15,637	4,294
ამორტიზაცია	47,298	5,031
მოგება კორექტირების შემდეგ	-309,023	1,018,714
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებიდან	-132,048	-1,195,365
ცვლილება გადახდილ ავანსებში	-3,817	-9,000
ცვლილება მომწოდებლებში	3,985	1,298
ცვლილება გადასახადებში	-87,420	88,999
ცვლილება გადაუხდელობაში	-86,042	168,591
ცვლილება მარაგებში	-3,681	0
II. ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	-64,082	-54,167
პირითადი საშუალებების შეძენა	-64,082	-54,167
წმინდა ფულადი ნაკადი პერიოდისთვის	158,225	19,070
საკურსი სხვაობა ფულად	-15,637	-4,294
საწყისი ნაშთი 01.01.2023:	14,775	0
საბოლოო ნაშთი 31.12.2023:	157,363	14,775

დირექტორი


ვოლოდიმირ სიდორი



მთავარი ბუღალტერი


ქობულაძე ლია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები **2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქასტომერთაიმს ჯორჯია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს თბილისში, საქართველო. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, იოანე პეტრიძის 5ა. საიდენტიფიკაციო ნომერია 405557017, რეგისტრაციის თარიღი 2022 წლის 25 აგვისტო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული პროგრამირების, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობების უზრუნველყოფა, კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში საკონსულტაციო საქმიანობა, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან და კომპიუტერულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

CTDEV Corporation (აშშ) არის კომპანიის 100% აქციონერი. აქციონერი კომპანიის რეგისტრაციის #4826278, რეგისტრირებულია 2015 წლის 28 სექტემბერს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის დამტკიცებული მშობელი კომპანიის მიერ. აქციონერს უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოცემის შემდეგ.

1.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენაარსი

1.2. მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის („SARAS“) 2017 წლის 18 სექტემბრის No15 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბასს-ის მიერ გამოცემული IFRS-ის ძირითადი პრინციპების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პრინციპები

(a) მთავარი პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე და იმის საფუძველზე, რომ კომპანია მუშაობს უწყვეტის პრინციპით.

(b) ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში ლარში (GEL) და ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე

c) უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის ფუნქციური ვალუტის სპოტ კურსებით იმ თარიღით, როდესაც ტრანზაქცია პირველად კვალიფიცირდება აღიარებისთვის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფიქსირდება ტრანზაქციის თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური კურსებით, რაც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 1 აშშ დოლარს, უდრის 2.6894 ქართულ ლარს (31.12.2022 წელს 1 აშშ დოლარი უდრის 2.7020 ლარს). ფულადი სახსრების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ცალკეულ ანგარიშგებაში, როგორც გაცვლითი კურსის სხვაობა (საკურსი სხვაობა).

(d) მიმდინარე (მოკლევადიანი) vs არამიმდინარე (გრძელვადიანი) კვალიფიკაცია.

კომპანია წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე/არამიმდინარე კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც ის არის:

- ▶ მოსალოდნელია რეალიზება ან დაგეგმილი გაყიდვა ან მოხმარება ნორმალურ საოპერაციო ციკლში;

- ▶ იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით.
- ▶ მოსალოდნელია საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდულია გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირდება როგორც არამიმდინარე (გრძელვადიანი).

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო ციკლში.

- ▶ იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით.
- ▶ ანგარიშსწორება უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს უპირობო უფლება ვალდებულების დაფარვის გადადების საანგარიშო პერიოდიდან არანაკლებ თორმეტი თვით.

ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

e) შემოსავალი ხელშეკრულებებიდან.

ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს/კლიენტს იმ თანხით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელსაც კომპანია მოელის, რომ დაიხარჯოს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

როდესაც კომპანიაში ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოღინება გადავადებულია და შეთანხმება არსებითად ფინანსური ტრანზაქციაა, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება არის ყველა მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემოსავალს პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავების სერვისებიდან.

f) ხარჯები

კომპანია აღიარებს ხარჯებს, როდესაც საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თვითღირებულებად აღიარებულია პირდაპირი ხელფასები და სხვა ფულადი გადახდები თანამშრომლებისთვის, აგრეთვე ოფისის ქირის ხარჯები.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ამორტიზაციას, კომუნალურ მომსახურებას, კონსულტაციას, სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და საჩუქრებს თანამშრომლებისთვის და სხვა სახის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის გამართულად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კომპანია არასაოპერაციო ხარჯად აღიარებს გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ფულადი კომპონენტების გადაფასების ხარჯებს.

g) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

თვითღირებულების ფასი მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდაკლებებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის დანიშნულების ადგილზე მიტანასთან და მის ექსპლუატაციასთან, რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება როგორც მიმდინარე ხარჯები.

აქტივზე ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც მისი გამოყენება შესაძლებელია, ანუ, როდესაც აქტივი არის ისეთ ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის ექსპლუატაცია მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ამორტიზაცია ჩერდება ძირითადი საშუალებების აღიარების გაუქმების პერიოდიდან.

კომპანია წყვეტს ძირითადი საშუალების აღიარებას, როდესაც ის გაიყიდება/განადგურდება ან როდესაც არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა და გაყიდვისგან. კომპანია ასახავს ძირითადი საშუალების აღიარების გაუქმების შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ის გაუქმებულია.

1 ქონება და აღჭურვილობა

ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო ვადა (წლები)

კომპიუტერი და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3 წელი

ავეჯი და სხვა 5 წელი

კომპანია აღიარებს 500 აშშ დოლარის და ნაკლები ღირებულების აქტივებს, როგორც მცირეფასიანი აქტივი (LowValue Assents LVA) და იყენებს ღირებულების 100%-ნ ცვეთას LVA-ს მიღების პერიოდში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებების სტრუქტურა შემდეგია:

	კომპიუტერული ტექნიკა	მცირეფასიანი (LVA) კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული მოწყობილობა	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	სულ, ლ
ძირითადი საშუალებების ნაშთი 25.08.2022	0	0	0	0	0
შეძენილი 2022	51,326	2,841	0	0	54,167
ჩამოწერილი 2022	0	0	0	0	0
ძირითადი საშუალებების ნაშთი 31.12.2022	51,326	2,841	0	0	54,167
შეძენილი 2023	43,963	5,431	1,277	13,411	64,082
ჩამოწერილი 2023	0	0	0	0	0
ძირითადი საშუალებების ნაშთი 31.12.2023	95,289	8,272	1,277	13,411	118,279
ცვეთა 2022	-2,190	-2,841	0	0	-5,031
შეძენილზე 2023	0	0	0	0	0
ჩამოწერილზე 2023	0	0	0	0	0
ცვეთა 2023	-28,350	-5,431	-107	-13,411	-47,298
სულ ამორტიზაცია	-30,540	-8,272	-107	-13,411	-52,330
რეალური ღირ-ბა 31.12.2022	64,750	0	1,170	0	65,920

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა 13,411 ლარის ავეჯი და ტექნიკა და 1,277 ლარის

ელექტრო წვდომის სისტემა თბილისში ახალი ნაქირავები ოფისისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ფულად სახსრებს ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებ. წლის ბოლოს კომპანიას არ ჰქონდა ფული საღაროში, მთლიანი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტი ეკვივალენტი ფიქსირდება ადგილობრივი კომერციულ ბანკში „საქართველოს ბანკი“-სა და ინსტიტუტის Wise-ის აშშ დოლარისა და ლარის უპროცენტო ანგარიშებზე. აგრეთვე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხება ფული გზაში, რომელიც ასახული იქნა სს „საქართველოს ბანკი“-ს სავალუტო ანგარიშზე 2024 წლის 3 იანვარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტი შეადგინა 157,362.73 ლ (14,755.37 ლ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით):

ფინანსური ინსტიტუტი	ვალუტა	თანხა ვალუტაში	ოფიციალური კურსი 31.12.2023	ეკვივალენტი ლარებში
Wise	USD	5,134.65	2.6894	13,873.82
Wise	GEL	7,332.33	1.00	7,332.33
Bank of Georgia	GEL	16,712.70	1.00	16,712.70
Bank of Georgia	USD	5,847.60	2.6894	15,725.54
Bank of Georgia corp card	USD	24,59	2.6894	66.13
ფული გზაში	USD	30,000.00	2.6894	80,682.00
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი 31.12.2023				157,362.73

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გახსნა ახალი ანგარიშები ქართულ ბანკში სს „საქართველოს ბანკი“. ასევე, საქართველოს ბანკმა უზრუნველყო კომპანიას კორპორატიული ბარათის გახსნა და ფუნქციონალი.

3 სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის ბოლოს კომპანიის ბალანსზე ერიცხება მხოლოდ ერთი მოვალე, დაკავშირებული კომპანია CTDEV CORP, რომელიც ახორციელებდა პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების სერვისების შეძენა. 2023 წელს მოვალეებიდან შემოდიან არ არის გადავადებული და აისახება სამართლიან ღირებულებით, ოპერაციები არ შეიცავს ფინანსურ კომპონენტებს და არ არის აღიარებული ფინანსურ ინსტრუმენტებად. სავაჭრო ვალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,298,039 ლარს.

დებიტორი	დავალიანების ოდენობა, USD	ეკვივალენტი ლარში	გადახდის პერიოდი
CTDEV CORP	\$ 482,650.00	1,298,038.91	2024 იანვარი-მარტი

4 გადახდილი ავანსები

კომპანია ხელშეკრულების დაწყებისას აფასებს შეიცავს თუ არახელშეკრულება იჯარას. ანუ, გადმოსცემს თუ არა ხელშეკრულება უფლებას გააკონტროლოს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეაფასა ოფისის ქირავნობის ახალი ხელშეკრულება შპს New Space-თან როგორც იჯარა 3 წლის ვადით. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, კომპანიამ წინასწარ გადაიხადა 1 თვიანი მომსახურება და დეპოზიტის თანხა, სულ 12,817 ლარი. ვინაიდან კონტრაქტი დაიდო გრძელვადიან (12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში), 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა აღიარებული იქნა გრძელვადიან აქტივებად / ავანსად. 2023 წლის

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გაჩნია მოკლევადიანი ავანსები იჯარის ხელშეკრულების მიხედვით.

5 სხვა მოთხოვნები

2023 წელს კომპანიას ჰქონდა საამართლოში შეტანილი საქმე კომპანია Royal Services-ის წინააღმდეგ. 2023 წლის დასაწყისში Royal Services-თან დადებული საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ წინასწარ გადაუხადა Royal Services 3-თვიანი საიჯარო ქირის თანხა 43,716,35 ლარი, თანხის ნაწილი 14,322,45 ლარი აღიარა 2023 წლის ოფისის ქირის ხარჯად და 29,393,90 ლარი აღიარებული იყო როგორც მოკლევადიანი გადახდილი ავანსი. 2023 წელს კომპანიას არ მიუღია Royal Services-გან საიჯარო მომსახურება და Royal Services-ის წინააღმდეგ დაიწყო სასამართლო განხილვა ჯამური თანხის 43,716.35 ლარის დასაბრუნებლად. საბოლოო გადაწყვეტილება 2024 წელს აისახება და, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება 50%-ზე მეტი ვარაუდით კომპანიის სასარგებლოდ იქნება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კომპანია 29,393.90 ლარის ავანსის თანხას მოახდინა რეკლასიფიკაცია და აღიარა „სხვა მოთხოვნებად“.

7 გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიების წლიური მოგება არ იბეგრება საქართველოში კორპორატიული მოგების გადასახადით. 15%-იან გადასახადით იბეგრება ფიზიკურ პირებზე - აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, წმინდა განაწილების 15/85 თანხიდან.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს კორპორატიული მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეული ტრანზაქციებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილებად (მაგალითად, ტრანზაქციები არასაბაზრო ფასებში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდება). 2023 წლის განმავლობაში ჰქონდა ადგილი სამეურნეო ოპერაციებს რომლებიც არ იყო დაკავშირებული კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან (საჩუქრები სხვადასხვა ფიზიკურ პირებს, სხვა) რამაც გამოიწვია მოგების გადასახადის დარიცხვას 1,302 ლარის ოდენობით.

დღგ

2023 წლის მაისში კომპანია გახდა დღგ-ს გადამხდელი და 2023 წლის დეკემბერში მიიღო გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება. ჩათვლის უფლების გამოყენების შედეგად, 2023 წლის დეკემბერში კომპანიამ დააბრუნა გადახდილი დღგ-ის თანხა 16,508 ლარი, რომლის ნაწილი 15,990 ლარი ჩაერიცხა კომპანიის ანგარიშზე ადგილობრივ ბანკში.

სხვა გადასახადები

საშემოსავლო გადასახადი: პირადი საშემოსავლო გადასახადი (PIT) და არარეზიდენტების საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თანამშრომელთა (და სხვა ფიზიკურ პირთა) შემოსავალი და სარგებელი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიღებული კომპანიისგან ფულადი ან/და სხვა სახის სახით, წარმოადგენს პირადი საშემოსავლო გადასახადის 20%-იან საფუძველს.

2023 წლის დეკემბერში კომპანიამ მიიღო საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რამაც გამოიწვია პერსონალური საშემოსავლო გადასახადის შემცირება 20%-დან 5%-მდე, რომელიც გამოყენებული იყო მხოლოდ 2023 წლის დეკემბრის პერსონალური საშემოსავლო გადასახადის დარიცხვებისთვის.

არარეზიდენტების საშემოსავლო გადასახადი

2023 წელს განმავლობაში კომპანიამ მიიღო მომსახურება არარეზიდენტი ინსტიტუტებისგან (Wise, Panda.doc., HH.kz), რომლებზეც გადაიხადა არარეზიდენტთა საშემოსავლო გადასახადი, გარდა ორმაგი დაბეგვრის შეთანხმების მონაწილე მომწოდებლებისა.

ქონების გადასახადი

2023 წლის ბოლოსთვის რიცხულ ქონებაზე კომპანიამ პროპორციულად დარიცხა ქონების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

სანქციები და საურავები

2023 წელს წინა წლის საგადასახადო თანხების დარიცხვების კორექტირების გამო კომპანიას დაეკისრა საგადასახადო ჯარიმები 3168 ლარის ოდენობით. თუმცა, კომპანიამ მაინც მოახერხა საგადასახადო ვალდებულებების შემცირება 2023 წლის ბოლოს.

2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით საგადასახადო ორგანოების წინაშე გადასახადის ვალდებულება 1579 ლარს შეადგენს, მათ შორის:

გადასახადები	31.12.2023, GEL	31.12.2022, GEL
სულ გადასახადები, მათ შორის:	1,579	88,999
მოგების გადასახადი	1,302.46	0
დღგ (ჩათვლილი)	-1,374.25	0
საშემოსავლო გადასახადი, მ.შ.	-5,353.27	87,966.00
სახელფასე ფონდიდან ზედმეტად გადახდილი საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღების გამო (20%-დან შემცირებულია 5%-მდე)	-7,553.31	76,241
თანამშრომლების ღონისძიებებიდან	0	8,688
თანამშრომლების საჩუქრებიდან	371.35	788
სხვა ფიზიკური პირის გადახდებიდან	1,828.69	2,250
არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი	3,126.16	304.86
ქონების გადასახადი	664.03	90.84
სანქციები/საურავი არადროული გადახდის გამო	3,213.77	637.14

8 მიმდინარე ვალდებულებები

2023 წლის ბოლოს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები შედგება თანამშრომლებისთვის გადასახდელი ხელფასისგან და საქონლის/მომსახურების მომწოდებლების მიმართ გადასახდელი ვალდებულებებისგან. თანამშრომლებისთვის გადასახდელი სახელფასო თანხა მოიცავს ყველა სახის კომპენსაციას თანამშრომლების მიერ გაწეული მომსახურებისთვის გადასახადების გარეშე. მიმდინარე ვალდებულებების ჯამური მოცულობა 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 82,548.97 ლარს.

9 სხვა მიმდინარე ვალდებულება

2023 წელს კომპანიამ მიიღო გარკვეული სახის მომსახურება (დასუფთავების მომსახურება) ადგილობრივი პერსონალისგან/ფიზიკური პირებისგან, რამაც გამოიწვია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საპენსიო ფონდის შენატანის 2%+2% გადახდის ვალდებულება. 2023 წლის ბოლოს საპენსიო ფონდის შენატანი 373 ლარი წარმოდგენილია სხვა მიმდინარე ვალდებულებებად, რომელიც იხურება მომდევნო სამუშაო თვეში.

10 კაპიტალი

ვინაიდან პარტნიორს არ განუხორციელებია რაიმე შენატანი საწესდებო კაპიტალში, კომპანიის კაპიტალი შედგება 01.01.2023-31.12.2023 პერიოდის მოგებიდან და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებიდან.

10.1 შემოსავალი

2023 წლის ბოლოსთვის მთლიანი შემოსავალი/გაყიდვები შეადგინა 3,012,893 ლარს (1,577,775 ლ

31.12.2022 მდგომარეობით). 2023 წლის განმავლობაში, ძირითადი საქმიანობის მომსახურება “პროგრამული უზრუნველყოფა” წარდგენილი იყო პარტნერ კომპანიას CTDEV CORP-ს, და არა სხვა მომხმარებლისათვის (952,185 ლ 2022 წელს).

10.2 თვითღირებულება

კომპანიის თვითღირებულების ძირითად ნაწილს შეადგენს საოპერაციო შტატის თანამშრომლების ფულადი ფორმით მიღებული და სხვა ფორმის ბენეფიტები: პირდაპირი ხელფასი, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, საზღვარგარეთიდან საქართველოში გადაადგილების ხარჯების ანაზღაურება. 2023 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება აღიაროს ადმინისტრაციული შტატის ხელფასები და ბენეფიტები, და ოფისის იჯარის ხარჯები არა თვითღირებულებაში, არამედ ადმინისტრაციულ ხარჯებში. იგივე პრინციპით რეკლასიფიცირებული იყო 2022 წლის თვითღირებულების ხარჯების ნაწილი (2,250 ლარი იჯარის ხარჯი და 291,982 ლარი ადმინისტრაციული ხელფასები 2022 წელს). სულ თვითღირებულება 2023 წლის შეადგინა 1,566,727 ლარს (238,880 ლარს 2022 წელს):

	2023	2022
თვითღირებულება	1,566,727	238,880
ხელფასები	1,410,214	226,631
ზეგანაკვეთი	46,452	290
ბონუსები	3,120	0
შვებულება	57,725	0
სოციალური ხარჯი, მ.შ.:	49,216	11,959
დაზღვევა	28,594	0
განთავისუფლების კომპენსაცია	5,070	0
თანამშრომლების კვება	238	0
გადაადგილების ხარჯები	15,313	11,959

10.3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

მნიშვნელოვანი სხვაობა 2023 და 2022 წლის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში განპირობებულია კომპანიის სამუშაო პერიოდის 12 თვის 2023 წელს და 4 თვის 2022 წელს (2022 წელს ხარჯები აისახა მხოლოდ 25.08.2022-დან 31.12.2022 -მდე პერიოდისთვის)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხარჯებს, რომლებიც არ არის პირდაპირი შემოსავლის აღიარებისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია კომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების არის:

- 2023 წლის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები და ბენეფიტები საერთო ოდენობის 657,118 ლარის (261,982 ლარი 2022 წელს);
- იჯარა 121,151 ლარის ოდენობით (2,250 ლარი 2022 წელს) და
- იურიდიული მომსახურება 41,085 ლარის ოდენობით, რომელიც შედგება საერთაშორისო სტატუსის მოპოვების მომსახურების ხარჯებისგან (14,572 ლარი), ადვოკატის მომსახურებისგან Royal Services წინააღმდეგ საქმეში (8,565 ლარი) და იურიდიული კომპანიის მომსახურება (17,948 ლარი).

თანამშრომლების საჩუქრები და ღონისძიებები 2022 წელთან შედარებით შემცირებულია.

აგრეთვე, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას, საკონსულტაციო მომსახურებას, გადასახადებს, ბანკის კომისიებს და სხვა ხარჯებს:

	2023	2022
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	962,135	325,213
ხელფასები	561,739	256,442
ბონუსები	63,122	
შვებულება	18,971	
სოციალური ხარჯი, მ.შ.:	13,287	5,540
დაზღვევა	1,048	

გადაადგილების ხარჯები	12,239	5,540
იჯარა	121,151	2,250
ქირავნობის სხვა ხარჯები	9,365	0
კავშირგაბმულობა/ინტერნეტი	10,887	0
ლიცენზია/გამოწერა	2,194	0
დოკუმენტაცია	1,141	0
გადასახადები	7,865	1,033
სხვა სოციალური გადასახადები	240	0
ბანკის კომისია	24,370	2,769
ამორტიზაცია	47,298	5,031
ბუღალტრული მომსახურება	7,984	3,438
დასაქმების საფასური	12,075	0
იურიდიული მომსახურება	41,085	0
თანამშრომლების ღონისძიებები	6,119	43,438
თანამშრომლების ჯილდოები /საჩუქრები	9,154	3,938
სამოვლინებო /სადღესასწაულო ხარჯები	347	0
ადგილობრივი ტრანსპორტი	34	0
კაფეტერიის ღირებულება	2,163	0
მცირეფასიანი ინვენტარი	1,547	1,334

10.4 არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები ასახავს გაცვლითი კურსის სხვაობას, რომელიც დაფიქსირდა 2023 წლის განმავლობაში. ვინაიდან კომპანია ფლობს აქტივებს უცხოურ ვალუტაში აშშ დოლარში, საკურსო სხვაობა ითვლება ყოველთვიურად და ადგენს აქტივების, კერძოდ სავაჭრო მოთხოვნებისა და სავალუტო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების, სამართლიან ღირებულებას საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად. ასევე, ფინანსური ინსტიტუტები უცხოურ თანხებს ლარებში კონვერტაციის დროს იყენებენ კომერციულ კურსებს და ეს იწვევს დამატებით ხარჯებს გაცვლითი კურსის გამო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკურსო სხვაობამ შედგება 15,637 ლარს (31 დეკემბრის 2022 წლის მდგომარეობით 4,294 ლარს):

	2023	2022
კომერციული გაცვლითი კურსის ხარჯები: აშშ დოლარის ლარში	15,637	4,294
კონვერტაცია Wise-ის მიერ კომერციული გაცვლითი კურსით	11,253	749
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოფიციალური კურსით		
გამოწვეული საკურსო სხვაობა –დოლარში შენახული აქტივების	4,384	3,545
ისტორიული და მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა		